

შპს „როშ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერის
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

1. მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....3
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....4
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....5

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითდი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.....6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....7
 - 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე.....7
 - 2.2 მომზადების საფუძველი.....7
 - 2.3 ფასს-ის პირველად გამოყენება.....7
 - 2.4 საოპერციო და ანგარიშგების ვალუტა.....8
 - 2.5 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....8
3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები.....11

შპს „რომ ჯორჯია“

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	1		
საერთო მოგება		5,032,055	5,084,742
სხვა შემოსავალი	2	33,313	53,164
შრომის ანაზღაურება		(2,740,131)	(2,596,243)
ინტერნეტი და ტელეფონი		(10,298)	(10,162)
ავტომობილის ხარჯები		(78,316)	(80,028)
სპონსორობა		(312,901)	(311,654)
მივლინება		(174,748)	(214,497)
ცვათა და ამორტიზაცია		(298,963)	(293,157)
საიჯარო ქირა	3	(240,694)	(232,895)
სხვა ხარჯები	4	(825,912)	(993,970)
საოპერაციო მოგება		383,405	405,300
საკუროს სხვაობა	5	(16,305)	(112,603)
მოგება დაბეგვრამდე		367,100	292,697
მოგების გადასახადი	6	(29,820)	(25,956)
წმინდა მოგება		337,280	266,741
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,952,583	1,685,842
დივიდენდები			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2,289,863	1,952,583

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ეკონომიკური შენაარსის მიხედვით. ვინაიდან წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგებამ და ზარალმა განაპირობა, კომპანიამ გადაწყვიტა მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგების წარდგენა, სრული შემოსავლების ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ცალ-ცალკე წარდგენის ნაცვლად.

შპს „როშ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	827,973	1,121,265	1,177,137
არამატერიალური აქტივები	8	1,742	1,953	2,164
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		829,715	1,123,218	1,179,301
მარაგები	9	9,607	5,856	31,502
მოკლევადიანი მოთხოვნები	10	1,144,971	65,497	864,154
გაცემული ავანსები	11	146,156	145,227	142,305
საგადასახადო აქტივი	12	7,592	6,225	8,161
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	13	1,499,417	1,795,406	692,110
მთლიანი მიმდინარე აქტივები		2,807,743	2,018,211	1,738,232
მთლიანი აქტივები		3,637,458	3,141,429	2,917,533
კაპიტალი & ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი	14	500,000	500,000	500,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,289,863	1,952,583	1,685,842
მთლიანი კაპიტალი		2,789,863	2,452,583	2,185,842
მიმდინარე გადასახადები	15			
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო	16	828,418	670,111	710,922
მოკლევადიანი ვალდებულებები	17	19,177	18,735	20,769
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		847,595	688,846	731,691
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,637,458	3,141,429	2,917,533

შპს „როშ ჯორჯი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		307,460	240,785
კორექტირებები:		345,679	372,545
- ცვლილება და ამორტიზაცია		298,963	293,157
- წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)		-	-
- საკუროს სხვაობა	5	16,305	112,603
- მოგება (ზარალი) ფიქსირებული აქტივის რეალიზაციის დროს		591	(59,171)
- მოგების გადასახადი	6	29,820	25,956
ცვლილებები:		(926,772)	780,472
- მარაგები	9	(3,751)	25,646
- მოკლევადიანი მოთხოვნები	10	(1,079,474)	798,657
- გაცემული ავანსები	11	(2,296)	(986)
- მიმდინარე გადასახადები	15	-	-
- მოკლევადიანი ვალდებულებები	16,17	158,749	(42,845)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(273,634)	1,393,802
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ფიქსირებული აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		33,492	78,782
- ფიქსირებული აქტივების შეძენა	7,8	(39,542)	(256,685)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(6,050)	(177,903)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- მიღებული ძირი		-	-
- სასესხო ვალდებულებების ზრდა		-	-
- სასესხო ვალდებულებების შემცირება		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-	-
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა (კლება)		(279,684)	1,215,899
საწყისი ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული	13	1,795,406	692,110
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	5	(16,305)	(112,603)
საბოლოო ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული	13	1,499,417	1,795,406

შენიშვნა: მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით.

შპს „როშ ჯორჯია“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „როშ ჯორჯია“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 14 დეკემბერს. საიდენტიფიკაციო ნომერი- 404433635, მისამართი - ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 64. დღგ-ს გადამხდელად დარეგისტრირდა 2013 წლის სექტემბრის თვეში. 2021 წელს, წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე და დღგ-ეს ახალი კარის შესაბამისად, შპს როშ ჯორჯია რჩება დღგ-ს გადამხდელად, მაგრამ 2021 წლის 1 იანვრიდან არ ბეგრავს დღგ-ით მომსახურებას.

კომპანიის 100% დამფუძნებელია შპს „ფ. ჰოფმან ლა როში“ (ბაზელი, შვეიცარია). კომპანიას ყავს დირექტორი და პროკურისტი, რომლებიც წარმოადგენენ უფლებამოსულებულ პირებს ორმაგი ხელმოწერის პრინციპის დაცვით. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამედიცინო საქმიანობის ხელშეწყობა, ფარმაცევტულ პროდუქციასთან და სამედიცინო აპარატურასთან დაკავშირებული სამედიცინო და სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელება; საბაზრო კვლევები; სამედიცინო პროდუქციის რეგისტრაცია; კლინიკური კვლევების განვითარება; დახმარების გაწევა და სამედიცინო აპარატურით მომარაგება; სამედიცინო აპარატურის ნიმუშების იმპორტი/შემენა და გავრცელება. კომპანიის დამფუძნებელი, შპს „ფ. ჰოფმან ლა როში“, განიხილება როგორც დაკავშირებული მხარე, რომელიც წარმოადგენს როშ ჰოლდინგის ნაწილს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღურებულების პრინციპზე დაყრდნობით. მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა. კომპანიას გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებას. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია: 31.12.2024 და ის მოიცავს 2024 წელს. ფინანსური შედეგები წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების სახით. რადგან კაპიტალის ნაწილში არ მომხდარა არანაირი ცვლილება, ის გაერთინებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაცულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები და ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები. მსს ფასს-ის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების მომზადებით, მიღწეულია ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის სამართლიანი წარდგენა.

2.3 ფასს-ის პირველად გამოყენება

შპს „რომ ჯორჯია“-ს ფინანსურ ანგარიშგების წარდგენა და მსს ფასს-ის გამოყენება პირველად მოხდა 2018 წელს. მსს ფასს სტანდარტზე გადასვალის თარიღად ითვლება 2017 წლის პირველი იანვარი და ანგარიშგება მოიცავდა 2018 წელს. შესაბამისად ეხლა მოხდა 2023 წლის ანგარიშგების წარდგენა ხოლო შესაძარისი ინფორმაცია წარმოადგენს შესაძარისი პერიოდის 2023 წლის და 2022 წლის ინფორმაციას.

2.4 საოპერციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ერთ ლარამდე.

2.5 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით. კომპანიას მომსახურებას უწევს მხოლოდ მის დამფუძნებელ კომპანიას. ყოველი თვის ბოლოს იწერება ინვოისი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად. ვინაიდან მოთხოვნა აღირიცხება უცხოური ვალუტაში, ამიტომ ყოველი წლის 31 დეკემბერს ნაშთი ექვემდებარება გადაფასებას.

სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულების თანხით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და მოსალოდნელია თუ არა მარაგისგან ეკონომიკური სარგებელის მიღება, საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და შესაბამისად აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში. როდესაც მოხდება მარაგების გამოყენება მისი ღირებულება

უნდა აღიარდეს შესაბამის პერიოდში ხარჯად. მარაგების გასვლა საწყობიდან ხდება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველად ძირითადი საშუალება აღიარდება ხდება მისი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღირების შემდეგ ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალებები დაყოფილია 4 ჯგუფად: ავტომანქანები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი და იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ხარჯი. ავტოსატრანსპორტო საშუალებებს მომსახურების ვადად განსაზღვრულია 7 წელი. ციფრული და ელექტრო ტექნიკის მომსახურების ვადად განსაზღვრულია 2-12 წელი. საოფისე ავეჯი და დანარჩენი ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადად განსაზღვრულია 5, 7 ან 10 წელი. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ხარჯის ცვეთად განისაზღვრა 5 წელი.

საწარმო ყოველი წლის ბოლოს აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და აღიარებს გაუფასურების ზარალს. გაუფასურების ან გაყიდვის შემთხვევაში ხდება შესაბამისი თანხების ასახვა მოგება ზარალში.

აქტივების ცვეთადი ღირებულება ნაწილდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. გამოიყენება ცვეთის წრფივი მეთოდი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, სარგებლიანობის ვადად განისაზღვრა 20 წელი. საწარმო ყოველი წლის ბოლოს აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და აღიარებს გაუფასურების ზარალს. აქტივს ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალების ანალოგიურად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში მიღებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის

გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ორეპაციებზე.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება 'მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში' იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ამონაგები

ჩვენი საწარმოთვის შემოსავალი განიხილება როგორც ამონაგები მომსახურების გაწევიდან. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, ამონაგების ასახვა ხდება წრფივი მეთოდით.

ხარჯები

ხარჯების აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახდელები აისახება ხარჯში იმ თვეში რომელსაც ეკუთვნის იჯარის გადასახდი.

3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შენიშვნა 1

ამონაგები

ამონაგების აღიარება ხდება წრივი მეთოდით გაწეული მომსახურების პროპორციულად და წარმოადგენს ამონაგებს მომსახურებიდან.

	2024	2023
ამონაგები	5,032,055	5,084,742

კომპანია მომსახურებას უწევს მხოლოდ დამფუძნებელს, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს.

შენიშვნა 2

სხვა შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი მიღებული სარეგისტრაციო ნიმუშებიდან	(179)	(25,618)
დ/ს რეალიზაცია	33,492	78,782
სხვა შემოსავალი	33,313	53,164

შენიშვნა 3

იჯარა

იჯარა წარმოადგენს ჩვეულებრივ ანუ საოპერაციო იჯარას.

	2024	2023
იჯარა	(240,694)	(232,895)

იჯარის ხელშეკრულების ხანგრძლივობა არის 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. ყოველთვიური გადასახადი დღგ-ს გარეშე შეადგენს საოფისე ფართი 7,200 და ავტოსადგომი 177 აშშ დოლარს. გადახდა ხდება გადახდის დღის ეროვნული კურსის შესაბამისად. გადასახდელი დარჩა:

	თანხა (ლარი, კურსი 31.12.2024)	თანხა(აშშ დოლარი)
1 წელზე ნაკლები	248,464	88,522
1-დან 5 წლის ჩათვლით	106,505	126,468

ასევე კომპანიას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადახდილი აქვს ბოლო ექვსი თვის საიჯარო ქირა საოფისე ფართისთვის, რომელიც ასახულია გაცემული ავანსების მუხლში და შეადგენს 136,158 ლარს. თანხები მოცემულია დღგ-ს გარეშე

შენიშვნა 4

სხვა ხარჯები

	2024	2023
საყოფაცხოვრებო საქონელი	(12,329)	(12,292)
კომუნალური გადასახადი	(8,562)	(10,618)
ხელფასთან გათანაბრებული ხარჯი	(93,305)	(142,333)
საკანცელარიო	(1,811)	(1,984)
წარმომადგენლობითი	(64,927)	(4,241)
დაზღვევა	(33,750)	(32,123)
IT ხარჯები	(6,394)	(11,682)
ქონების გადასახადი	(9,765)	(11,513)
კონტრაქტორი ფიზიკური პირების მომსახურება	(160,929)	(150,533)
კონფერენციები	(89,264)	(141,380)
მედიკამენტების რეგისტრაცია	(25,700)	(34,550)
სხვა საერთო ხარჯი	(88,515)	(99,002)
პიარ აქტივობები	(100,589)	(130,715)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(1,682)	(889)
მთარგმნელობითი ხარჯი	(48,663)	(61,314)
საკომისიო	(2,949)	(4,033)
კლინიკური კვლევა	(42,215)	(112,370)
საპენსიო ფონდი	(33,601)	(31,485)
საფოსტო მომსახურება	(962)	(912)
	(825,912)	(993,970)

შენიშვნა 5

საკუროს სხვაობა

	2024	2023
შემოსავალი	98,504	72,803
ხარჯი	(114,809)	(185,406)
	(16,305)	(112,603)

ფულის გადაფასების შედეგი - (28,586) ლარი 2023 (58,327) ლარი.

მოთხოვნების გადაფასებით - 11,020 ლარი 2023 (54,138) ლარი.

ვალდებულებების გადაფასებით - 1,261 ლარი 2023 (138) ლარი.

შენიშვნა 6

მოგების გადასახადი

	2024	2023
მოგების გადასახადი	(29,820)	(25,956)

შპს „რომ ჯორჯია“-ს მოგების გადასახადის აღრიცხვა ევალეზა ესტონური მოდელის შესაბამისად. 2024 წელს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოხდა მოგებით დასაბეგრი 168,980 ლარის ხარჯის გაწევა, 2023 წელს 147,086 ლარის.

შენიშვნა 7

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებისას შეფასებულია თვითღირებულებით. გამოყენებულია ცვეთის წრფივი მეთოდი. ა/მანქანებისთვის სასარგებლო ვადა განისაზღვრება 7 წლით. ოფისის აღჭურვილობა , ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5,7,10 წელი. ნარჩენი ღირებულება ღებულობა 0. იჯარით არებული ქონების სარგებლობის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ვადის მიხედვით და შეადგენს 5 წელს.

	ა/მანქანა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
თვითღირებულება					
1 იანვარი 2024 წ	1,176,373	189,468	111,212	355,062	1,832,115
შემოსვლა		5,460			5,460
გასვლა	82,409	1,271			83,680
31 დეკემბერი 2024წ	1,093,964	193,657	111,212	355,062	1,753,895
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2024 წ	422,291	93,134	47,483	147,942	710,850
წლიური ცვეთა	150,499	26,223	16,935	71,012	264,669
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	(49,053)	(544)			(49,597)
31 დეკემბერი 2024წ	523,737	118,813	64,418	218,954	925,922
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2024 წ	570,227	74,844	46,794	136,108	827,973

2024 წელს მომხდარა ძირითადი საშუალებების გაყიდვა. კერძოდ მოხდა ერთი ერთეული ტექნიკის და ერთი ერთეული ავტომანქანების გასხვისება.

შენიშვნა 8

არამატერიალური აქტივი

სარგებლიანობის ვადად განისაზღვრა 20 წელი. არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით. საწარმომ ყოველი წლის ბოლოს უნდა მოახდინოს აღრიცხვა გაუფასურდა თუ არა აქტივი და მოახდინოს გაუფასურების აღიარება და შეფასება. ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით. ამორტიზაცია ჩართულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მუხლში „ცვეთა და ამორტიზაცია“. არამატერიალური აქტივი შედგება ერთი ბუღალტრული პროგრამისგან.

არამატერიალური აქტივი	
თვითღირებულება	
1 იანვარი 2024წ	4,223
შემოსვლა	
გასვლა	
31 დეკემბერი 2024 წ	4,223
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
1 იანვარი 2024 წ	2,270
წლიური ცვეთა	211
გასული აქტივების	
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2024წ	2,481
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2024 წ	1,742

არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულებაა 1,742 ლარი და დარჩენილი ამორტიზაციის პერიოდი არის 7 წელი

შენიშვნა 9

მარაგები

მარაგი შეფასებულია თვითღირებულებით, ანუ მისი შეძენის ფასით. ჯგუფების მიხედვით:

მარაგები დაყოფილია სარეგისტრაციო ნიმუშებად და საწვავი.

მარაგები	2024	2023
სარეგისტრაციო ნიმუშები		179
საპრომოციო მასალა	6,121	2,221
საწვავი	3,486	3,456
	9,607	5,856

მიმდინარე პერიოდის მიღებული მარაგის რაოდენობამ შეადგინა 244,964, ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 241,213 ლარი. (2023 წელს შემოსული 44,050, ხარჯი 69,696 ლარი)

შენიშვნა 10

მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი მოთხოვნები	1,144,971	65,497	864,154

მოკლევადიანი მოთხოვნები წარმოიშვება მხოლოდ დამფუძნებელი კომპანიის მიმართ.

საინვოისო თანხა ფიქსირდება აშშ დოლარში და ყოველი წლის 31 დეკემბრის კურსის მდგომარეობით ხდება თანხის კორექტირება. სხვაობა აისახება მოგება ზარალში საკურსო სხვაობის სახით.

შენიშვნა 11

გაცემული ავანსები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
გაცემული ავანსები	146,156	145,227	142,305

გაცემული ავანსები 2024 წლისთვის წარმოადგენს წინასწარ გადახდილ საიჯარო ქირას 136,158 ლარი, ავტომობილების დაზღვევა - 1,647 ლარი, ავტომობილის სადგომის ღირებულება - 7517 ლარი და სხვა

გაცემული ავანსები 2023 წლისთვის წარმოადგენს წინასწარ გადახდილ საიჯარო ქირას 136,158 ლარი, ავტომობილების დაზღვევა - 1,604 ლარი, ავტომობილის სადგომის ღირებულება - 7465 ლარი

გაცემული ავანსები 2022 წლისთვის წარმოადგენს წინასწარ გადახდილ საიჯარო ქირას 136,158 ლარი, ავტომობილების დაზღვევა - 2,255 ლარი, ავტომობილის სადგომის ღირებულება -2,712 ლარი და სხვა

შენიშვნა 12

საგადასახადო აქტივი

	2024	2023	2022
საგადასახადო აქტივი	7,592	6,225	8,161

2021 წელს წინასწარი გადაწყვეტილების შედეგად მოხდა დღგ-ს დეკლარაციების დაზუსტება, რამაც გამოიწვია აქტივის შექმნა. 2022 წელს ჩათვლილ დღგ-ს თანხამ შეადგინა 8,161 ლარი, 2023 წელს 6,225 ლარს. 2024 წელს 7592 ლარს.

შენიშვნა 13

ფული და ფულის ექვივალენტი

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
უცხოური ვალუტა ბანკში	1,494,865	1,788,763	689,477
ეროვნული ვალუტა ბიზნეს ბარათ	1,227	4,641	1,428
ეროვნული ვალუტა ბანკში	3,325	2,002	1,205
	1,499,417	1,795,406	692,110

ყოველი წლის 31 დეკემბრის კურსის მდგომარეობით ხდება უცხოური ვალუტის თანხის კორექტირება. სხვაობა აისახება მოგება ზარალში საკურსო სხვაობის სახით. წარდგენილი თანხები არის მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე. საღარიბოში თანხების მოძრაობა არ ხდება.

შენიშვნა 14

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და შეადგენს 500,000 ლარს.

შენიშვნა 15

მიმდინარე გადასახადები

ვინაიდან მიმდინარე გადასახადები წარმოადგენდა გასაცემი ბონუსის საშემოსავლოს და ასევე მოკლევადიან ვალდებულებებში შედიოდა თანამშრომლების გადასახდელი საპენსიოს ნაწილი, მოხდა მათი გაერთიანება დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოში.

შენიშვნა 16

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო	828,418	670,111	710,922

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოში აღიარებულია ვალდებულებად გასაცემი ბონუსების თანხები, რომლების გაცემა კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად ხდება გამომუშავებული წლის შემდეგ წელს. 2022 წელს გამომუშავებული თანხის გაცემა მოხდა 2023 წელს. 2023 წელს გამომუშავებული თანხის გაცემა მოხდება 2024 წელს. ხოლო 2024 წელს გამომუშავებული თანხის გაცემა მოხდება 2025 წელს. ასევე 2022ს და 2023 წელს დაემატა ცალკე გამოყოფილი საშემოსავლო და საპენსიო გადასახადები.

შენიშვნა 17

მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი ვალდებულებები	19,177	18,735	20,769

მოკლევადიანი ვალდებულებები განპირობებულია კომპანიის მიდგომით კრედიტორებთან და განისაზღვრება კონტრაქტით არსებული გადახდის პირობების მიხედვით. ზოგიერთ კრედიტორთან გადახდის პირობა შეადგენს 30 - მდე დღეს, თანხების დაფარვა ხდება სრულად დაგვიანების გარეშე. ასევე ეს თანხა მოიცავს საპენსიო გადასახადს, რომელიც დაერიცხა ბონუსს. 2022 და 2023 წელს გამოაკლდა საპენსიო გადასახადი, რომელის გაერთიანდა გასამრჯელოში

შენიშვნა 18

დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებად განიხილება კომპანიის დამფუძნებელი, შპს „ფ. ჰოფმან ლა როში“. კომპანია უწევს დამფუძნებელს მომსახურებას და ის წარმოადგენს ერთადერთ შემოსავლის წყაროს.

	2024 ა.შ.შ. დოლარი	2024 ლარი	2023 ა.შ.შ. დოლარი	2023 ლარი	2022 ა.შ.შ. დოლარი	2022 ლარი
გაწეული მომსახურების დირექტულება	1,832,492	5,032,055	1,927,906	5,084,742	1,742,279	4,981,467
მოთხოვნა პერიოდის ბოლოს	407,928	1,144,971	24,354	65,497	319,820	864,154

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და კომპენსაცია შეადგენს 917,324 ლარს (2023: 862,133 ლარი)

სხვა შენიშვნები.

1. არც წინა წლებში და არც 2024 წელს კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით და შესაბამისად არ გამოვლენილა მოგების გადასახადის გადახდა ამ განაცემის მიხედვით.
2. არ გააჩნია არანაირი ანარიცხი, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.
3. არ გამომჟღავნდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლების საჭიროებენ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებას
4. კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. პირველი ანგარიშგების ჩაბარება მოხდა 2018 წლისთვის. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობას ემყარებოდა.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის ოცდაცხრა აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

მაკა ასათიანი

პროკუროსტი:

ანა გოგოლაძე

სხვა შენიშვნები.

1. არც წინა წლებში და არც 2024 წელს კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით და შესაბამისად არ გამოვლენილა მოგების გადასახადის გადახდა ამ განაცემის მიხედვით.
2. არ გააჩნია არანაირი ანარიცხი, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.
3. არ გამოყვანილია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლების საჭიროებენ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებას
4. კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. პირველი ანგარიშგების ჩაბარება მოხდა 2018 წლისთვის. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბუკოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობას ემყარებოდა.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის ოცდაცხრა აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:



მაკა ასათიანი

პროკურისტი:




ანა გოგოლაძე